



# I ღია ტურნირი ელვისებურ ჭადრაკში

15 იანვარი, 2023 წ. თბილისი, ჭადრაკის სასახლე

## დ ე ბ უ ლ ე ბ ა

1. მიზანი და ამოცანები: საქართველოში ჭადრაკის შემდგომი პოპულარიზაცია.

2. ჩატარების ვადები და ადგილი:

- 15 იანვარი, 15:00 სთ. თბილისი, ჭადრაკის სასახლე.

3. მონაწილენი:

ტურნირში დაიშვება ყველა მოჭადრაკე რომელიც გადაიხდის სატურნირო შესატანს - 10 ლარს.

4. სისტემა და დროის კონტროლი:

- ტურნირი გაიმართება ფიდეს წესებით, შვეიცარიული სისტემით 9 ტურად. აუცილებლობის შემთხვევაში ტურნირის ჩატარების სისტემას განსაზღვრავს ორგანიზატორი.

- თითოეულს 3 წუთი პარტიის ბოლომდე, ყოველ სვლაზე 2 წამის დამატებით.

5. თაი – ბრეიქი:

ორი ან რამოდენიმე მონაწილის მიერ თანაბარი რაოდენობის ქულების დაგროვების შემთხვევაში ადგილები განაწილდება:

1. ბუჰგოლცი-1(1 უდაბლესის გამოკლებით) ;
2. ბუჰგოლცი (ყველა მეტოქის ქულათა ჯამი);
3. მოგებების რაოდენობით;
4. პროგრესი (რეგრესით).

6. კვალიფიკაცია:

ტურნირში დაითვლება ელვისებურ ჭადრაკში ფიდეს რეიტინგი.

7. რეგისტრაცია და სატურნირო შესატანი:

- მონაწილეებმა რეგისტრაციისას უნდა შეავსონ ონლაინ სარეგისტრაციო ფორმა -

<https://forms.gle/Lfnh4yKB5UQFuHx79> ამავე ფორმაში უნდა ატვირთონ: 1) პირადობის (დაბადების) მოწმობის ასლი; 2) საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის საბანკო ანგარიშზე ჩემპიონატის სატურნირო შესატანის გადარიცხვის დამადასტურებელი დოკუმენტი.

მონაწილეთა რეგისტრაცია შეწყდება 1-ლი ტურის დაწყებამდე 30 წუთით ადრე.

ნატა ალავიძე - ელ-ფოსტა - n.alavidze64@gmail.com მობ: 558 11 86 83

საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის საბანკო რეკვიზიტები: სს "თბილისი ბანკი"

ანგარიში ნომერი: GE45TB0313936080100006GEL. საბანკო კოდი (მფო) – TBCBGE 22

- თითოეული მონაწილის სატურნირო შესატანია 10 ლარი (უნაღლო ანგარიშსწორებით).

8. პრიზები: საპრიზო ფონდია - 330 ლარი, რომელსაც დაემატება 50-ზე მეტი მონაწილის სატურნირო შემონატანის 75% (რომელიც თანაბრად დაემატება ექვსივე საპრიზო ადგილს). ხოლო 25% დაემატება ელვისებურ ჭადრაკში იანვრის ბოლო ტურნირში პირველ ადგილზე გასული მოჭადრაკის ფულად პრიზს.

	1	2	3
ღია	100	75	55
ქალთა	40		
ELO 1800<	30		
ELO 1500<	30		

- თანაბარი ქულების დაგროვების შემთხვევაში პრიზი არ იყოფა.

- ერთი და იგივე მონაწილის მიერ ორი პრიზის მოპოვების შემთხვევაში პრიზიორს გადაეცემა მხოლოდ ერთი უდიდესი პრიზი.

- ყველა პრიზი დაიბეგრება საქართველოში მოქმედი ფინანსური კანონმდებლობის შესაბამისად.

ტურნირის დირექტორი: საერთაშორისო ორგანიზატორი - დათო კოდუა

მთავარი მსაჯი: საერთაშორისო არბიტრი - სალომე სირაძე